საფრანგეთის საელჩო აზერბაიჯანში
ეკონომიკური სამსახური
სამხრეთ კავკასიასა და თურქმენეთში

2 ივლისი, 2015

ბ.ნ ნოდარ ხადურს
მინისტრი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

Re: ფრანგულ-ქართული ფინანსური პროტოკოლი დათარიღებული 2011 წლის 7 ოქტომბრით/ მესტიაში სამთო კურორტების განვითარება

ძვირფასო ბ-ნო ხადურო,

გწერთ საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბრით დათარიღებული ფინანსური პროტოკოლისშესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრითა და 2015 წლის 3 თებერვლით დათარიღებული მიმართვის წერილების საფუძველზე, ფინანსური პროტოკოლის მუხლი 7 („ფინანასური მხარდაჭერის მოქმედების ვადები"), მხარეები შეთანხმდნენ, რომ ფინანსური პროტოკოლი შეცვლილია და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

> „პირველ მუხლში განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობისათვის, ფრანგ მომწოდებელსა და ქართველ მომხმარებელს (მყიდველს) შორის ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა.
>
> წინამდებარე პროტოკოლით განსაზღვრული საფრანგეთის ხაზინის მიერ გამოყოფილი გრანტის ან სესხის ფარგლებში თანხების გამოთხოვა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 2015 წლის 31 დეკემბრისა".

გთხოვთ მიუთითოთ მსესხებლის თანხმობა ზემოთ აღნიშნულ აბზაც 2-ში ჩამოყალიბებული ცვლილებებისა და აღნიშნული წერილი-შეთანხმების პირობების მიმართ თითოეული აღნიშნული წერილი-შეთანხმების ორი ორიგინალის ხელმოწერით ქვემოთ მითითებულ ადგილას.

გთხოვთ, ერთი ხელმოწერილი წერილის ორიგინალი დაურთოთ თქვენს ჩანაწერებს, ხოლო მეორე-დაგვიბრუნოთ. შემოთავაზებული შესწორებები ძალაში შევა იმ თარიღით, როცა საქართველოს მხარე წერილობით აცნობებს ფრანგულ მხარეს, რომ საქართველომ დაასრულა ყველა საჭირო შიდა პროცედურა აღნიშნული წერილი შეთანხმების ეფექტურად გამოცხადებისათვის.

პატივისცემით,

ჰარვი სარნელი
ეკონომიკური მრჩეველი
საფრანგეთის საელჩო

შეთანხმებული საქართველოსთვის და
საქართველოს სახელით (საქართველოს მთავრობა)

სახელი: ნოდარ ხადური

ფინანსთა მინისტრი

თარიღი: 17 ივლისი, 2015

საქართველოს საგარეო საქმეთა საქმისწარმოება
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 01891-15
თარიღი/DATE 21.07.2015
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia